



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
მერია



2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 1140
21/02/2018

1140-09-2-201802211013



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 105-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, 106-ე მუხლის მე-7 ნაწილისა და 121-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგინებ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჩიბათში მდებარე 2792.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 471,10 კვ.მ. შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.09.50.282)) განკარგვაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

მოგახსენებთ რომ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს, საკუთრებაში ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახით, გააჩნია ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში N27.09.50.282 კოდზე არსებული ყოფილი გამგეობის ადმინისტრაციული შენობა, რომელმაც ხანძრის შედეგად დაკარგა თავისი ფუნქციური დანიშნულება, რასაც ადასტურებს მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ, შედგენილი უძრავი ქონების ადგილზე დათვალიერების აქტი. (წარმოდგენილია დანართის სახით)

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ თანახმად, მუნიციპალიტეტის ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების განკარგვა-გახსვისება დაუშვებელია, გარდა ამ კანონის 121-ე მუხლის გათვალისწინებული შემხვევებისა. შესაბამისად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზემოაღნიშნული მდგომარეობის გათვალისწინებით შეუძლია განიხილოს წარმოდგენილი პროექტი და ძირითადი ქონების განკარგვაზე მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ მიიღოს განკარგულება სიითი შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედით.

მიგვაჩნია რომ, ზემოაღნიშნული ქონების განკარგვაზე მერისათვის თანხმობის მიცემა არის მიზანშეწონილი, ვინაიდან ის გაზრდის მუნიციპალიტეტის შემოსავლებს.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია მერიის იურიდიული სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგინებ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების

მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მამუკა ვადაჭკორიას კანდიდატურას.
პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

ალექსანდრე სარიშვილი

ა.სარიშვილი

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

2018 წლის თებერვალი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჩიბათში მდებარე 2792.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 471,10 კვ.მ. შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.09.50.282)) განკარგვაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 105-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, 106-ე მუხლის მე-7 ნაწილისა და 121-ე მუხლების შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების - (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჩიბათში მდებარე 2792.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 471,10 კვ.მ. შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.09.50.282)) განკარგვაზე.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ტაბიძე

უძრავი ნივთის ადგილზე დათვალიერების აქტი

№1

უძრავი ნივთის მესაკუთრე:
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

უძრავი ნივთის მისამართი:
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ჩიბათის ადნინისტრაციული ერთეული

უძრავი ნივთის საკადასტრო კოდი :
(ასეთის არსებობის შემთხვევაში)
27.09.50.282

დათვალიერების თარიღი და დრო:
2018 წლის 16 თებერვალი, საათი: 11:00

დათვალიერების მონაწილე პირები/ექსპერტები/სპეციალიტები :

~~მამუკა ვადაჭკორია~~ 26001002046
სახელი და გვარი პირადი ნომერი

~~ვახტანგ შალიკაშვილი~~ 26001006813
სახელი და გვარი პირადი ნომერი

სახელი და გვარი პირადი ნომერი

დათვალიერების მონაწილე პირების მოსაზრებები/ შენიშვნები :
(ასეთის არსებობის შემთხვევაში) -

დათვალიერების გამოკვლევის შედეგები :

ობიექტის(უძრავი ნივთის) ადგილზე დათვალიერების შედეგად ნათლად ჩანს, რომ შენობა-

ნაგებობას საერთოდ არ გააჩნია სახურავი, არააქვს იატაკი, შენობის კედლები ძლიერ დაზიანებულია და მრავალ ადგილას ჩამოშლილი აქვს ბათქაში, ხანძრის შედეგად შენობა - ნაგებობა გარდაიქმნა უსახურ შენობა-ნაგებობად, არის ანტისანიტარიის კერა და შეუძლებელია იგი გამოყენებული იქნეს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საქმიანობისათვის საჭირო ძირითადი ფუნქციის შესასრულებლად.

დათვალიერების მონაწილე პირთა ხელმოწერა:
